



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 14
24/03/2020

14-09-4-202003241908



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №33 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №33 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“.

1. განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება: უნარშეზღუდულთა ეტლები, საგორავეები და ყავარჯნები.“.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე

1



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო